ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის რისკების ინდიკატორები

(ოფიციალური სტატისტიკის მიმოხილვა)

2024

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის რისკების ინდიკატორები
(ოფიციალური სტატისტიკის მიმოხილვა)

სარჩევი

შესავალი 3

გამოწვევები: 4

რეკომენდაციები: 5

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა 6

დასკვნა: 9

შესავალი

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა წარმოადგენს საკითხს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უსაფრთხოების რისკებს და საზოგადოებაში არსებული ნებისმიერი სექტორის/სფეროს ფუნქციონირებაზე ზემოქმედებს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ძალადობის საფრთხეების გამოვლენა და გაანალიზება და მათი აღმოფხვრის სტრატეგიების ინტეგრირება შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებსა და პროგრამებში. გენდერული ძალადობა არ არის იზოლირებული პროცესი/ქმედება, არამედ დაკავშირებულია იმ რისკებთან, რომელთაც შეიცავს გარემო/კონტექსტი. შესაბამისად, სწორი ინდიკატორების შემუშავება უზრუნველყოფს ძალადობის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და ძალადობის პრევენციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წელს ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ მუშაობა დაიწყო უკვე არსებული ციფრული რესურსცენტრის პლატფორმაზე ახალი პანელის შექმნასა და ინტეგრირებაზე, სახელწოდებით: **„ოჯახში ძალადობის რისკების ინდიკატორების რუკა“.** იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ფონდის რაოდენობრივი კვლევის პირველი ციკლის შედეგები ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე, წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის რისკების შეფასების პირველი ციკლი განხორციელდა ფონდი „სოხუმის“ 4 სამიზნე რეგიონის (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა) 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში: **ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური, სამტრედია, ქობულეთი.**

მიმდინარე წელს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის რისკების შესაფასებლად ვებგვერდზე განახლდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის ამსახველი (მოცემულ ეტაპზე ხელმისაწვდომი) ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები[1].

ოფიციალური სტატისტიკა, ძირითადად, მოიცავს შემდეგი უწყებების მიერ წარმოდგენილ საჯარო მონაცემებს: ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 112 საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სტატისტიკა - ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, 112-ის „ჩუმი განგაშის“ ღილაკის გამოყენების სტატისტიკა - მონაცემები რეგიონის მიხედვით; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტატისტიკა; 116006-ში დაფიქსირებული ზარების სტატისტიკა; მუნიციპალური სერვისებისადმი ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის და მიღებული სერვისების სტატისტიკა (საპილოტე მუნიციპალიტეტების მიხედვით); მოსახლეობის უმუშევრობის დონე (ერთიანი და საპილოტე მუნიციპალიტეტების მიხედვით); საარსებო შემწეობის მიმღებთა სტატისტიკა და ა.შ.

1 2024 წელს ვებგვერდზე განახლებულ მონაცემებში იგულისხმება წინა, 2023 წლის მონაცემები. ხოლო გასულ წელს განთავსებული იყო 2022 წლის მონაცემები.

გამოწვევები:

ოფიციალური მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების სირთულეს და/ან მის არარსებობას - რელევანტური უწყება არ ფლობდა და/ან არ აწარმოებდა სტატისტიკას მუნიციპალიტეტების და ზოგჯერ რეგიონების და გენდერულ ჭრილში. უფრო კონკრეტულად:

- შსს-თან მიმართებაში გამოკვეთილია, რომ არ ხდება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მუნიციპალურ ჭრილში;
- 112 - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ: ა) დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა არ შეესაბამება ოჯახური ძალადობის რეალური შემთხვევების რაოდენობას, ვინაიდან ინციდენტის ტიპში გაერთიანებული შემთხვევების დიაპაზონი გაცილებით ფართოა; ბ) არ არსებობს სქესის მიხედვით დიფერენცირებული სტატისტიკა, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს უწყების პრიორიტეტს[2],[3];
- ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006) აქვეყნებს მხოლოდ საერთო მონაცემს საქართველოს მასშტაბით და, შესაბამისად, შეუძლებელია მოვიძიოთ ინფორმაცია გენდერულ და მუნიციპალურ ჭრილებში. ამას გარდა, არსებობს კომუნიკაციის სირთულე რეგიონულ ოფისებთან, რომლებიც ნებისმიერი საკითხის თაობაზე ისევ ცენტრალურ ოფისთან დაკავშირებაზე მიგვითითებენ;
- მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით იკვეთება ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის სიმცირე (ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა სამიზნე მუნიციპალიტეტების უმეტესობაში), პროგრამები ხშირად არ არის გენდერულად მგრძნობიარე (თუმცა პოზიტიური ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ცდილობენ, ესა თუ ის პროგრამა „მოარგონ“ არსებულ/პოტენციურ ბენეფიციარს). უმეტეს შემთხვევაში, პროგრამების მიმღებთა ხარჯები არ არის გენდერულად (ზუგდიდის გარდა) და ასაკის მიხედვით დიფერენცირებული, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მაჩვენებლებზე, რაც მაგ., წარმოდგენილი აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს (ძალადობის სახეობის, დასახლების ტიპის, სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის (ადგილობრივი, დევნილი) მიხედვით);
- სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან დაკავშირებული გამოწვევები ეხება, ძირითადად, ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ (შედარებით) განუახლებელ მონაცემებს, მათ შორის, რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული ინფორმაციის მოპოვების თარიღი. მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებისთვის, საქსტატის წარმომადგენლის განმარტებით, ველით რელევანტურ, განახლებულ ინფორმაციას, რომელიც განთავსდება ქალთა ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდზე 2025 წლის იმ პერიოდამდე, სანამ საქსტატი წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგებს/ანგარიშს.

---

2 წყარო: შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112; წერილი № MIA 4 23 01813830, თარიღი: 26.06.23;

3 წყარო: შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112; წერილი № MIA 8 24 00738784, თარიღი: 12.03.24;

რეკომენდაციები:

- სასურველია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდეს ოჯახში ძალადობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სეგრეგირება მუნიციპალურ ჭრილშიც, რაც მოგვცემს ძალადობის მასშტაბების უკეთ დანახვის და პრევენციული ღონისძიებების მიზნობრივად დაგეგმვის საშუალებას;
- სასურველია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისთვის - 112, გენდერული სტატისტიკა გახდეს მეტად პრიორიტეტული და, შესაბამისად, აწარმოოს გენდერულ და მუნიციპალურ ჭრილებში. ამას გარდა, სასურველია, თუ მოხდება ინციდენტის ტიპის დიფერენცირება და/ან ოჯახში ძალადობის შემთხვევების ცალკე აღრიცხვა;
- ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006) სასურველია, თუ ასევე გამოაქვეყნებს არა ერთიან, არამედ გენდერულად და მუნიციპალიტეტების მიხედვით სეგრეგირებულ მონაცემებს და რეგიონულ ოფისებს მისცემს ადგილობრივი სტატისტიკის წარმოების საშუალებას;
- ძალადობის რისკების და შემთხვევების იდენტიფიცირების და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა გაზარდონ პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დონე, რაც თავის მხრივ გაზრდის ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობას. ამას გარდა, აუცილებელია ამა თუ იმ პროგრამის ბენეფიციარზე/ძალადობის მსხვერპლზე არა მხოლოდ „მორგება“, არამედ საწყის, ბიუჯეტირების ეტაპზე გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების განსაზღვრა; სასურველია ბენეფიციარებთან და პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება გენდერულ, ასაკობრივ, სოციალურ-დემოგრაფიულ, ძალადობის სახეების მიხედვით ჭრილებში, რაც გააადვილებს ძალადობის რისკების ამოცნობას და მიმართულებას მისცემს კონკრეტული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სასურველია, დროულად გახადოს ხელმისაწვდომი განახლებული სტატისტიკური ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი და მოკლედ მიმოხილულია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მიმართულებით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მწარმოებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მასთან ხარვეზები/გამოწვევები:

- **ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები), შსს** - 2023 წელს განახლებული მონაცემების შედარებისას 2022 წლის მონაცემებთან, აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი კვლავ მაღალი რჩება. განსაკუთრებით გამოკვეთილია ფსიქოლოგიური ძალადობის ხვედრითი წილი, ასევე მაღალია ფიზიკური ძალადობის მაჩვენებლებიც, ხოლო მსხვერპლის აბსოლუტური უმრავლესობა (85% ან მეტი) კვლავ ქალია. გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების არარსებობა მუნიციპალურ ჭრილში;

- **112 საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი** - აღსანიშნავია, რომ უწყებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ **ერთიანი სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მასშტაბით** (ე.ი. არ არის წარმოდგენილი რეგიონულ, მუნიციპალურ და გენდერულ ჭრილებში) და იგი მოიცავს: „112"-ის მობილური აპლიკაციის („112 Georgia") ჩამოტვირთვებს; ჩუმი განგაშის სიგნალის (SOS) გამოყენებას; SMS ფუნქციის (ჩატი) გამოყენებას; აპლიკაციიდან ზარის განხორციელებას; იმ მოძალადეების რაოდენობას, რომლებსაც დაუწესდათ ელექტრონული ზედამხედველობა. მათ მიერ მოწოდებული ოფიციალური წერილის თანახმად, სამსახურის პრიორიტეტს არ წარმოადგენს სქესის მიხედვით დიფერენციაცია, ხოლო ინციდენტის ტიპის ქვეშ მოიაზრება „არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა... ამ ინციდენტის ტიპით **„112"-ში დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა არ შეესაბამება ოჯახური ძალადობის რეალური შემთხვევების რაოდენობას**". 2023 წლის მონაცემების მიხედვით გაზრდილია 112-ის მობილური აპლიკაციის ჩამოტვირთვების რაოდენობა თითქმის 1500-ით და შეადგენს 12454-ს. ვიდეოზარის ფუნქციის გამოყენება დაფიქსირდა 161-ჯერ. ამას გარდა, საგრძნობლად გაზრდილია იმ მოძალადეთა რაოდენობა, რომლებსაც დაუწესდათ ელექტრონული ზედამხედველობა - 104 მოძალადე 2023 წ. (შდრ. 18 მოძალადე - 2022 წ.);

- **ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006) -** ფონდის მიერ ინფორმაციის წერილობით გამოთხოვის საფუძველზე მოგვაწოდეს მხოლოდ ერთიანი სტატისტიკური მონაცემი საქართველოს მასშტაბით განხორციელებული ზარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ ოფისებთან კომუნიკაციისას ვერ მოხერხდა მონაცემების მიღება ადგილობრივ დონეზე, რაც ზოგად წარმოდგენას მაინც შექმნიდა (თუნდაც ნედლი მასალის საფუძველზე) სულ მცირე, რეგიონულ ჭრილში. უარის მიზეზად დასახელდა გარემოება, რომლის მიხედვით, რეგიონული ოფისები მხოლოდ აგროვებენ ინფორმაციას, რომელიც დაუმუშავებელი სახით გადაეცემა ცენტრალურ ოფისს. ერთიანი მონაცემების მიხედვით, 2023 წლის განმავლობაში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელ ხაზზე შევიდა 4100 ზარი.

- **მუნიციპალური სერვისებისადმი ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის და მიღებული სერვისების სტატისტიკა (საპილოტე მუნიციპალიტეტების მიხედვით)** - შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებით. სამიზნე მუნიციპალიტეტების ნაწილმა წერილობით წარმოადგინა ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობა და მიღებული სერვისები, ასევე გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური პროგრამების ჩამონათვალი. ყველა მათგანი, მათ შორის ნაწილი - განახლებული მონაცემებით, განთავსებულია ვებგვერდზე. ამჟამად, კვლავ მიმდინარეობს მონაცემების განახლება. ზოგადად, მუნიციპალიტეტებში დაფიქსირებულია **ერთეული შემთხვევები სერვისებისადმი მიმართვიანობასთან დაკავშირებით**, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომელმაც დეტალური სტატისტიკური ანალიზი წარმოადგინა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში, მაგ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის ყველაზე მაღალი (სხვა სამიზნე მუნიციპალიტეტებთან შედარებით) მაჩვენებელი დაფიქსირდა 2022 წ. – 26 პირი, რომელთაგან ყველა იყო ქალი. დიფერენცირებული ჰქონდათ ასაკის, ძალადობის სახეობის, დასახლების ტიპის, სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის (ადგილობრივი, დევნილი) მიხედვით. მუნიციპალური პროგრამები გაცილებით მოცულობითად არის წარმოდგენილი - დიფერენცირებულია სქესის ჭრილში, მოცემულია თითოეული პროგრამის ხარჯები აბსოლუტურ რიცხვებში და პროცენტული მაჩვენებლებით. თუმცა, ზოგადად, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ესა თუ ის სერვისი მართალია, პირდაპირ არ მიემართება ძალადობის მსხვერპლს, მაგრამ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ცდილობენ, „მოარგონ“ აღნიშნული სერვისი და დახმარება აღმოუჩინონ პოტენციურ/არსებულ ბენეფიციარს;

- რაც შეეხება **საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან** დაკავშირებულ ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა დასაქმების დონე, საარსებო შემწეობის მიმღებთა სტატისტიკა და ა.შ., წარმოადგენს ასევე გამოწვევას, რადგან ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია შედარებით ძველი მონაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში კი არ არის მითითებული ინფორმაციის მოპოვების თარიღი.

სტატისტიკის სამსახურის მიერ წარმოებული მიგრაციის შესახებ მონაცემები **ძალზე მნიშვნელოვანია და პირდაპირ უკავშირდება პერსონალური უსაფრთხოების დონეს - პერსონალური უსაფრთხოება,** განსაკუთრებით ქალებისთვის, ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, **საშუალო ან საშუალოზე დაბალ ნიშნულზეა** (საშუალო მაჩვენებელი (Mean)=<3), ხოლო პირადი უსაფრთხოებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელი ფაქტორი **უმუშევრობაა** (საშუალო მაჩვენებელი (Mean=4). საქსტატის 2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან ემიგრაციაში მყოფთა 38% ქალია, ყველაზე მეტია 40+ ასაკის ქალი-ემიგრანტების ხვედრითი წილი (40%), ხოლო 25-35 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მაჩვენებელი დაახლოებით 22%-ია. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ 60 წლამდე ასაკის მიგრანტებს შორის ქალების ხვედრითი წილი 2-ჯერ აღემატება მამაკაცების მაჩვენებელს, ხოლო ევროპის ქვეყნებში მიგრირებულთა თითქმის 70% ქალია.

სტატისტიკის სამსახურთან კომუნიკაციისას გაირკვა, რომ მიმდინარეობს მონაცემების განახლებაზე მუშაობა და 2024 წ. მაისის შუა რიცხვებში მათ ექნებათ შესაძლებლობა, წარმოგვიდგინონ რელევანტური ინფორმაცია. 2025 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაგეგმილია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ანგარიშის გამოქვეყნება, რაც საშუალებას მოგვცემს, უახლეს მონაცემებს მოვუყაროთ თავი და მარტივად ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი ვებგვერდის საშუალებით.

დასკვნა:

ძალადობის რისკების იდენტიფიცირება ისეთი დადგენილი ინდიკატორების საშუალებით, როგორებიცაა მაგ.: შსს-ს სტატისტიკური მონაცემები, 112-ში და 116006-ში განხორციელებული ზარები, აპლიკაციის ჩამოტვირთვის მაჩვენებლები, მუნიციპალური პროგრამების და ამ პროგრამებისადმი მიმართვიანობის მონაცემები, მიგრაციის, უმუშევრობის და ა.შ. დონე, ძალზე მნიშვნელოვანია ძალადობის პრევენციის მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. საკუთრივ ძალადობის პრევენცია სხვადასხვა კვლევის მიხედვით წარმოადგენს ყველაზე სუსტ რგოლს (რადგან ძირითადი ძალისხმევა მიმართულია რეაგირებაზე ძალადობის შემთხვევებზე), თუმცა აღნიშნულ სისუსტეს მეტად ამძაფრებს სტატისტიკური მონაცემების არსებობა/ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

თუ შევაჯამებთ, ძალადობის რისკების იდენტიფიცირების გარეშე, ერთი მხრივ, წარმოუდგენელია პრევენციის მიმართულებით მუშაობა, ხოლო მეორე მხრივ - ძალადობის პრევენციის კომპონენტის გაძლიერება უზრუნველყოფს მოწყვლადი ოჯახების, ქალების, ბავშვების და ა.შ. მეტ დაცულობას და უსაფრთხოებას. კარგად ორგანიზებული სტატისტიკური მონაცემების სისტემა, მონაცემების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცვლის და მათი ხელმისაწვდომობის გამარტივება, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა რელევანტური უწყებისთვის აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობის და მათი პრაქტიკული დანიშნულების გაანალიზება/დანახვა ხელს შეუწყობს ძალადობის პრევენციის კომპონენტის გაძლიერებას და, შესაბამისად, რისკების შემცირებას.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

მონაცემების ანალიზზე მუშაობდა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ეკატერინე გამახარია

ნინო კორინთელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;

fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi